საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 894 2024 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №1098 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, არაუგვიანეს 19/06/2028 წლისა, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) არანაკლებ 120 ნომრის მქონე სასტუმრო(ებ)ს, კომერციული დანიშნულების ფართ(ებ)ს; კვების ობიექტ(ებ)ს; სპორტულ მოედანს/მოედნებს, ქონების ან მისი ნაწილის შემოღობვას,

გამწვანებას, გარე განათებას) შექმნის მიზნით, სამშენებელო/სარეკონსტრუქციო/ სარემონტო სამუშაოების (რაც ასევე შეიძლება, მოიცავდეს უძრავი ქონების ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს) განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღება და სასტუმრო(ები)სა და კვების ობიექტ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყება. ამასთან, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ უნდა განხორციელდეს;".

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს" (ს/ნ: 445548042) შორის 2020 წლის 22 იანვარს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების 5.1.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბერი.

3. შპს „ორბი ჯგუფი ბახმარო" (ს/ნ: 445548042) ვალდებულია, ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროსათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №1098 განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, წარადგინოს ამავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 5%-ის ოდენობის, შეცვლილი/ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. შპს „ორბი ჯგუფი ბახმარო“ (ს/ნ: 445548042) ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს“ შორის 2020 წლის 22 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 5.1.1, 5.1.2 და 5.1.3 მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, წარადგინოს ამავე ხელშეკრულების 5.1.2 მუხლით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის შეცვლილი/ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ხელშეკრულების 5.1.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

5. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №300 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შპს „ორბი ჯგუფი ბახმარო“ (ს/ნ: 445548042) ვალდებულია, ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე უზრუნველყოს 284 936 (ორას ოთხმოცდაოთხი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი) ლარის გადახდა.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**